ნინო ქადაგიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	11
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	11
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	12
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	12
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	18

1994-2000 წლებში ნინო ქადაგიძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე. 2000 წელს იგი დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ. 2002-2012 წლებში იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. 2013 წლის 17 ივნისიდან ნინო ქადაგიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეა.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: საჯარო სამსახურიდან მოხელის გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძვლით და მისი იძულება საკუთარი განცხადებით სამსახურის დატოვების თაობაზე.[1]

ფაქტები: 2014 წელს, ი.კ.-მ, ტელევიზიით გაავრცელა მის მიერ გადაღებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომელშიც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე სთხოვდნენ, საკუთარი ნებით დაეტოვებინა სამსახური, ვინაიდან სხვა გუნდის წევრი იყო; წინააღმდეგ შემთხვევაში, განუმარტავდნენ, რომ არსებობდა უამრავი მეთოდი, რომლითაც შეიძლებოდა ადამიანის სამსახურიდან გათავისუფლება. ი.კ.-მ სატელევიზიო ინტერვიუში განმარტა: **„ეს ყველაფერი ხდება ძალიან ორგანიზებულად. ქალაქის ვიცე მერი ბატონი მ. ხელმძღვანელობს ამას და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს, თუნდაც ის, რომ სუს-ის თანამშრომლები ესწრებიან ამ, უხეშად რომ ვთქვათ, თანამშრომლების დაკაჩავებას“.**

ქ. თბილისის მუნივიპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სასამხურმა ჩაატარა წარმოება შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე და დაასკვნა:

ვინაიდან ქ. თბილისის ვიცე მერ ა. მ.-ის ხელმძღვანელობით, თანამშრომლებზე ზეწოლის განხორციელების ფაქტების თაობაზე ი.კ-მ ტელევიზიით განცხადებები გააკეთა მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, სამსახურმა მიიჩნია, რომ მისი ქმედება სახელს უტეხდა და აზიანებდა ქ. თბილისის ვიცე-მერ ა. მ.-ს. ი.კ.-მ არსებითად მცდარი ფაქტის თაობაზე მიზანმიმართული განცხადებით, ასევე ზიანი მიაყენა ქ. თბილისის მერიის რეპუტაციას და **ქცევის ზოგადი წესების მოთხოვნების არაჯეროვან შესრულებასთან ერთად, ჩაიდინა მოხელისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი.** აღნიშნული მსჯელობა დაედო საფუძვლად ი.კ.-ს[2] საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებას.

გადაწყვეტილება:

თბილისის საქალაქო სასამართლომ, ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად, ახალი აქტის გამოცემა და-

---

[1] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება (N3ბ/1907-15)**

[2] **გათავისუფლების მომენტში ი.კ. იკავებდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სასამხურის ინსპექტირების სამმართველოს კრწანისის რაიონული განყოფილების უფროსის თანამდებობას.**

ავალა. თუმცა, ამავე სასამართლომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებაში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია ვერ დაინახა. პირველი ინსტანციისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (შემდგომში „პალატა“) შემადგენლობამ, სადაც კანდიდატ შოთა გეწაძესთან ერთად, ასევე, ნინო ქადაგიძე იღებდა მონაწილეობას, დაადგინა მოსარჩელის მიმართ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია და მოპასუხეს მოხელის სასმახურში აღდგენა დაავალა. მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- **თბილისის მერიის თანამდებობის პირების მხრიდან საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მხილება, როგორც სამსახურიდან გათავისუფლების უკანონო საფუძველი**

პალატამ აღნიშნა, რომ განცხადებები, რომლებიც მოხელემ გააკეთა მის წინააღმდეგ პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე და ზეწოლაზე, არ შეიძლება ჩაითვალოს უღირს ქმედებად და, შესაბამისად, ვერ ჩაითვლებოდა უხეშ დარღვევად.

- **საჯარო სამსახურში პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია და სამსახურიდან საკუთარი განცხადებით წასვლის იძულება**

პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციაზე მსჯელობისას პალატამ ყურადღება გაამახვილა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებსა და კვლევებზე. კვლევები და განცხადებები ეხებოდა თბილისის მერიიდან შესაძლო პოლიტიკური ნიშნით თანამშრომელთა გათავისუფლებისა და მერიიდან თანამშრომელთა საკუთარი განცხადებით წასვლის მაღალ მაჩვენებელს. მსჯელობაში პალატა შეეხო მაღალი პოლიტიკური თანამდებობის და თბილისის მერიის მაღალი თანამდებობის პირთა განცხადებებსაც; კერძოდ, ყურადღება მიაპყრო თბილისის მერის, დავით ნარმანიას საჯარო განცხადებას, რომ **„მათი (ანუ მერიის) რიგები ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან, შეიძლება ითქვას, რომ გაწმენდილია“**. მოსარჩელის მიერ გაკეთებული ჩანაწერისა და ამ ინფორმაციის ერთობლივი ანალიზით პალატა გადაწყვეტილებაში უთითებს:

- **„სააპელაციო პალატას მყარად სწამს, რომ ი. კ.-ს მიმართ ნამდვილად განხორციელდა განსხვავებული მოპყრობა, ზეწოლა, რომლის მიზანიც იყო მისი გათავისუფლება სამსახურიდან პირადი განცხადების საფუძველზე.“**

პალატა ასევე განმარტავს, რომ მოსარჩელე უდავოდ სარგებლობს უფლებით – გააჩნდეს პოლიტიკური შეხედულება, პოლიტიკური სიმპათია ამა თუ იმ პოლიტიკური გუნდის მიმართ; მისი შეზღუდვა შრომით უფლებებში ამგვარი უფლების არსებობის/რეალიზების თვალსაზრისით, გავლენას ახდენს კონვენციითა და ეროვნული კანონმდებლობით დაცულ, მოსარჩელის პოლიტიკური შეხედულებისა თუ არჩევანის უფლებაზე.

პალატა ასევე დადასტურებულად მიიჩნევს, რომ **ქ. თბილისის მერიაში მსგავსი პრობლემები არ შექმნიათ მათ, ვისაც არ გააჩნდა პოლიტიკური სიმპათია ყოფილი მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ**.

შენიშვნა: საყურადღებოა, რომ პალატამ, განსხვავებით პირველი ინსტანციისგან, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თბილისის მერიას არა ახალი აქტის გამოცემა, არამედ მოსარჩელის პირდაპირ სამსახურში აღდგენა დაავალა. ძირითადად სასამართლო მსგავს მიდგომას იმ საქმეებზე იყენებს, სადაც ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უხეშად ეწინააღმდეგება კანონს (ამ შემთხვევაში დისკრიმინაციულია) და სასამართლო თვითონ წყვეტს დავის შედეგს.

საყურადღებო და საინტერესოა ამავე საქმეში პალატის მსჯელობა გადაწყვეტილების მიღების დროს საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში არსებულ მწვავე და საგანგაშო მდგომარეობაზე:

- „იკვეთება, რომ საქართველოს სახელმწიფოს საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში უმწვავესი **პრობლემებია, რომლებიც განპირობებულია საჯარო სამსახურის არსისა და ამოცანების ნაკლებად გააზრებულობით, კანონის უზენაესობის სტანდარტის უგულებელყოფით, საჯარო სამსახურის პირადი და პარტიული ინტერესების მომსახურების ასპარეზად, პარტიული მუშაკებისა თუ აქტივისტების დასაქმების საშუალებად მიჩნევით, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული უპატივცემულობით, თავად საჯარო მოხელეთა მხრიდან პერსონალური პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობით, დაბალი პროფესიული კვალიფიკაციით, რაც, საბოლოო ჯამში, აფერხებს ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას“.**

  პალატა ასევე განმარტავს საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში არსებული მწვავე მდგომარეობის გავლენას საჯარო მოხელეების მორალურ მდგომარეობასა და მმართველობითი საქმიანობის კვალიფიციური განხორციელების საფრთხეზე:

- **„ყოველივე ეს [პრობლემები საჯარო სამსახურის ფუნქციონირებაში] იწვევს დასაქმებულთა (და არა მხოლოდ) უიმედობას, აქვეითებს მათ სამსახურებრივ მოტივაციას, აჩენს განცდას, რომ ქვეყანაში ყოველი პოლიტიკური ცვლილებისას, საფრთხე ემუქრება მათ სამსახურს, რის გამოც, მათი საქმიანობა მიმართული ხდება არა უპირატესად სამსახურებრივ უფლება-მოვალეობათა ეფექტურ განხორციელებაზე, არამედ ძირითადად იმაზე – არ მოხდეს მათი განთავისუფლება სამსახურიდან და ამგვარ ვითარებაში, თანამდებობრივ და ადამიანურ პრინციპულობაზე, მმართველობითი საქმიანობის კვალიფიციურ განხორციელებაზე, უმრავლეს შემთხვევებში, საუბარიც კი ზედმეტია“.**

ამავე საქმეში პალატამ რამდენიმე საინტერესო სამართლებრივი განმარტება გააკეთა:

პალატა განმარტავს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ფუნქციას

- **„ამგვარ პირობებში კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმთავრეს ფუნქციას – განახორციელოს მმართველობითი საქმიანობის სასამართლო კონტროლი, დაუდგინოს ამ საქმიანობის განმახორციელებელთ საქმიანობის სწორი სამართლებრივი სტანდარტები, ამ კონტროლის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებები მოაქციოს კანონმდებლობის ჩარჩოებში და აიძულოს იგი, თავისი შემდგომი საქმიანობა წარმართოს სწორედ ამ კუთხით. სააპელაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება“.**

პალატის განმარტება დისკრიმინაციის პრევენციისთვის სახელმწიფოს როლთან დაკავშირებით

- **„სახელმწიფოებს ეკისრებათ ნეგატიური ვალდებულება თანასწორად მოეპყრან თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს და შესაბამისად, მისი როლი, ვალდებულება და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებების გატარებაში.“**

პალატის განმარტება დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს არსთან დაკავშირებით

- **„დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში, რომელსაც საქართველო აშენებს, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე პირის მიმართ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი. რადგან არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, არ არსებობს პროპორციაც განსხვავებულ მოპყრობასა და არარსებულ მიზანს შორის. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან**

გამომდინარე, შეუძლებელია მხოლოდ პოლიტიკური შეხედულების გამო განსხვავებული მოპყრობის მოქცევა სახელმწიფოს მიხედულების/დისკრეციის ფარგლებში“.

შენიშვნა: თბილისის სააპელაციო სასამართლოში წინამდებარე საქმეს განიხილავდა ადმინისტრაციულ პალატის შემადგენლობა სამი მოსამართლის შემადგენლობით. მათ შორის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ორი კანდიდატი, შოთა გეწაძე და ნინო ქადაგიძე. საქმეზე განსხვავებული აზრი არ ფიქსირდება. შესაბამისად, სამივე მოსამართლე იზიარებს და ეთანმხება გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობას. ამიტომ, აღნიშნული გადაწყვეტილება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოდგენილია, როგორც შოთა გეწაძის, ასევე, ნინო ქადაგიძის პორტფოლიოებში.

სამართლებრივი საკითხი: ქალაქის დაგეგმარების საკითხები; საჯარო ინტერესი საკუთრების უფლების წინააღმდეგ.[3]

ფაქტები: პირი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურისგან ითხოვდა მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრის მშენებლობის ნებართვას მეტროსადგურ „ისანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. არქიტექტურის სამსახურმა მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ნებართვის გაცემაზე უარის საფუძველად სამსახური უთითებდა, რომ საპროექტო ადგილი წარმოადგენდა გამწვანებულ ტერიტორიას და მასზე ყოველგვარი მშენებლობა იყო აკრძალული. ამასთანავე, ტერიტორია მდებარეობდა საზოგადოებრივ-საქმიან ზონაში, მეტროსადგურის მიმდებარედ, ხალხმრავალ და სავაჭრო ობიექტებით გადატვირთულ ადგილზე, სადაც დამატებითი ობიექტის გაჩენა კიდევ უფრო გადატვირთავს ტერიტორიას. თბილისის საქალაქო სასამართლომ არქიტექტურის უარი ნებართვაზე ბათილად ცნო და მას საკითხის ხელახალი შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა დაავალა. თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (შემდგომში „პალატა“), კანდიდატ ნინო ქადაგიძის თავმჯდომარეობით, გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება. პალატამ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე.

გადაწყვეტილება:

პალატა განმარტავს:

- **„სააპელაციო სასამართლო [...] თვლის, რომ საკუთრება არის ადამიანის ყოფიერების საფუძველი, სოციალური და სამართლიანი სახელმწიფოს ქვაკუთხედი, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლება არ არის შეუზღუდავი, მას გააჩნია დიდი სოციალური დატვრითვა, რა პირობებშიც ხშირად თავს იჩენს კონფლიქტი კერძო და საჯარო ინტერესს შორის, როცა აუცილებელი ხდება გონივრული ბალანსის დაცვა. სწორედ აღნიშნული ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება [სპორინგი და ლონროთი შვედეთის წინააღმდეგ], რომელიც ამავდროულად ქალაქმშენებლობის პოლიტიკასთან მიმართებაში აწესებს სახელმწიფოს (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს) ფართო დისკრეციას“.**

პალატამ მხედველობაში მიიღო საკუთრების (მიწის) ტერიტორიული განთავსების სპეციფიკა და მიუთითა:

- **„ადგილი გამოირჩევა განსაკუთრებული ხალხმრავლობით და სავაჭრო ობიექტების სიმრავლით, მიწა მცირედი დახრით მოქცეულია ფეხით მოსიარულეთა სავალ გზებს შორის, მიწას არ გააჩნია მისასვლელი სამანქანო გზა, შესაბამისად, მშენებლობის პროცესში უნდა დაიტვირთოს გზის ის მონაკვეთი, რომელიც**

[3] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №3ბ/1655-15**

განკუთვნილია ფეხით მოსიარულეთათვის და იმ პირებისათვის, ვინც გადაადგილდება მეტროს საშუალებით. რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაუმართლებელია არა მხოლოდ მონაკვეთის დამატებითი გადატვირთვის, არამედ ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების თავლსაზრისით. ამასთან, საგულისხმოა, რომ დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ადგილი წარმოდგენს გამწვანების ტერიტორიას".

ზემოთ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით პალატამ დაასკვნა, რომ დაცული იყო ბალანსი, ერთი მხრივ, საკუთრების უფლების შეზღუდვასა და მეორე მხრივ, ქალაქის იერსახის შენარჩუნების, განაშენიანების პროცესის სწორად წარმართვისა და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას შორის თვალსაზრისით.

სამართლებრივი საკითხი: სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სპეციფიკა.

ფაქტები: ა. ლ-მ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიმართ. მოსარჩელის განმარტებით, იგი 2005 წლის 16 ივლისს საკუთარი ავტომობილი «მერსედეს-ბენცით», მოძრაობდა თბილისი-მცხეთის მიმართულებით, რა დროსაც დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე, სავალი გზის საფარის დაზიანების გამაფრთხილებელი ნიშნის არარსებობის გამო, მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, დაზიანდა მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა. მოსარჩელე ითხოვდა მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა მოსარჩელის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს, მიუთითეს, რომ ისინი ვერ ხედავდნენ საქალაქო სამსახურის ბრალეულობას მოსარჩელისთვის ზიანის მიყენებაში. ქვედა ინსტანციებისგან განსხვავებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ (შემდგომში „პალატა"), კანდიდატ ნინო ქადაგიძის მონაწილეობით, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად დაუბრუნა მას.

პალატამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებაზე:

- **„საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ბრალის არსებობის გარეშეც. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა არასწორია, ვინაიდან ბრალის გარეშე, უხეში გაუფრხილებლობის გარეშეც, უნდა დაეკისროს სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგან უნდა შეფასდეს, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადგილი ჰქონდა თუ არა პრევენციული ზომების მიღებას, კერძოდ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსებას, რათა თავიდან აცილებულიყო საგზაო შემთხვევები".**[4]

1.2. ჯგუფებზე / უმცირესობებზე გამოხატული პოზიცია

სამართლებრივი საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა. სასამართლოს ვალდებულება ოჯახში ძალადობის საქმის განხილვისას.[5]

ფაქტები: თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა პირველი ინსტანციის მიერ მეუღლესა და შვილზე მოძალადედ მიჩნეული პირის საჩივარი. საქმე ეხებოდა სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის დამტკიცების კანონიერების შემოწმებას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

[4] **საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე N860-822(კ-07)**

[5] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის განჩინება საქმეზე N3-ბ-1293-16**

თა პალატამ (შემდგომში „პალატა“), კანდიდატ ნინო ქადაგიძის მონაწილეობით, არ გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და შემაკავებელი ორდერი ძალაში დატოვა. პალატამ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე.

პალატამ განმარტა:

- **„დამცავი ორდერის გაცემის კანონიერების შემოწმების პროცესში სააპელაციო სასამართლოს ვალდებულებაა, დაადგინოს, საქმის მასალები და მხარეთა ახსნა-განმარტებები ქმნის თუ არა საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, ზიანი მიადგება მსხვერპლის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს“.**

პალატამ ასევე განმარტა, რომ საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო მის მიერ ოჯახზე ძალადობის ფაქტის გაბათილება.

შენიშვნა: საქმე მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ძალადობის განგრძობად ხასიათსა და სასამართლოს როლზე, მისი გადაწყვეტილებებით აირიდოს მსხვერპლის უფლებების და კანონით დაცული ინტერესების შემდგომი დარღვევა.

სამართლებრივი საკითხი: ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა. ფსიქოლოგიური ძალადობა.[6]

ფაქტები: პირმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა თხოვნით, გაეუქმებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლომ პირის მიმართ მანამდე დაადასტურა პოლიციის მიერ ფსიქოლოგიური ძალადობის გამო გაცემული ორდერი და მოძალადეს მსხვერპლ ქალთან მიახლოვება აუკრძალა. მოძალადე მიიჩნევდა, რომ სასამართლომ მის მიმართ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, რადგან მხოლოდ მსხვერპლის ვერბალურ ჩვენებას დაეყრდნო. ამასთან, აპელანტი მიიჩნევდა, რომ მას მსხვერპლის მხრიდან პროვოკაციების გზით საფრთხე ემუქრებოდა, რადგან თვითონაც და მსხვერპლიც ერთ ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ხოლო სასამართლომ მას ისე, რომ მანძილი არ განუსაზღვრავს, მსხვერპლის სახლთან მიახლოვება აუკრძალა, რაც, განმცხადებლის აზრით, უფრო ზრდიდა პროვოკაციის რისკს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, კანდიდატ ნინო ქადაგიძის თავმჯდომარეობით, გაიზიარა საჩივრის ავტორის პოზიცია და გააუქმა შემაკავებელი ორდერი. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებაზე.

სასამართლომ განმარტა:

- **„ფსიქოლოგიური ძალადობა მიეკუთვნება ძალადობის ისეთ ფორმას, რომელიც მიმართულია იმ მიზნისაკენ, რომ მსხვერპლმა დაკარგოს საკუთარი თავის რწმენა, დაეჭვდეს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში, დაკარგოს ან ეჭვი შეიტანოს რეალობის ადექვატურად აღქმის შესაძლებლობაში. ფსიქოლოგიური ძალადობის ძირითადი ნიშნები ვლინდება დაცინვაში, ცინიკურ ან დამამცირებელ შენიშვნებში, მუქარაში, იზოლირებაში, დაშინებაში, მსხვერპლის საჯარო შეურაცხყოფაში ანუ იმ ქმედებებში, რომელიც ამცირებს ადამიანის თვითშეფასებას და აკარგვინებს საკუთარი თავის მიმართ რწმენას“.**

წინამდებარე საქმეში კი კანდიდატმა მსგავსი ძალადობის ნიშნები ვერ დაინახა. კანდიდატმა განვითარებული მოვლენები მხოლოდ რიგით ოჯახურ კონფლიქტად შეაფასა და განჩინებაში მიუთითა:

---

[6] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 04 ნოემბრის განჩინება საქმეზე N3ბ/2030-16**

- **„სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა გამომდინარეობს საოჯახო დავიდან, ეყრდნობა პიროვნულ ურთიერთბრალდებებს, რაც მხარეთა შორის ცალსახად ქმნის კონფლიქტურ სიტუაციას, თუმცა აღნიშნული დამოკიდებულება სასამართლოს მხრიდან ვერანაირად ვერ დაკვალიფიცირდება ფსიქოლოგიურ ძალადობად ანუ ისეთი ტიპის ურთიერთობის ფორმირებად, რომელიც მსხვერპლში იწვევს ემოციურ ტკივილს.“**

შენიშვნა: პალატის განჩინებიდან ირკვევა, რომ პოლიცია ორდერის გამოცემისას დაეყრდნო და სასამართლოში წარადგინა მიმოწერა, ჩანაწერები და სხვა მტკიცებულებები. თუმცა, ამავე განაჩინებაში არ არის აღწერილი რა სახის ვერბალური კომუნიკაცია იყო მსხვერპლსა და სავარაუდო მოძალადეს შორის. ეს ობიექტურ დამკვირვებელს ურთულებს, შეაფასოს, რა ჩათვალა კანდიდატმა მხოლოდ ოჯახური ურთიერთობებიდან მომდინარე კონფლიქტად და არ მიიჩნია ფსიქოლოგიურ ძალადობად.

1.3. გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ საარჩევნო საკითხებზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმების აუდიო ჩანაწერების გაუქმების კანონიერება.[7]

ფაქტები: ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვდა, სასამართლოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებად ეღიარებინა ელექტრონული ინფორმაციის – იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სხდომების აუდიოჩანაწერების განადგურება. უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა იუსტიციის სამინისტროსთან 2014 წლის 15 ივნისს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს არჩევნებისათვის. ჩანაწერებიც ამავე სამინისტროში იყო დაცული. თბილისის საქალაქო სასამართლომ ენმ-ის სარჩელი არ დააკმაყოფილა. სამინისტრო უთითებდა, რომ აღნშნულ აუდიო ჩაწერას ჰქონდა ერთჯერადი ხასიათი და გამოიყენებოდა მხოლოდ წერილობითი ოქმის შესადგენად, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ ნადგურდებოდა. ამასთან, სამინისტრო აპელირებდა, რომ ხსენებული აუდიოჩანაწერების შენახვის ვალდებულება მას კანონმდებლობით არ ეკისრებოდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (შემდგომში „პალატა“), კანდიადატ ნინო ქადაგიძის თავმჯდომარეობით, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. პალატამ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე.

პალატამ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსზე დაყრდნობით განმარტა:

- **„განურჩევლად იმისა, რა სახისაა ინფორმაცია, იმისათვის, რომ ჩაითვალოს საჯარო ინფორმაციად, აუცილებელია, რომ ის წარმოადგენდეს ოფიციალურ დოკუმენტს“.**

შენიშვნა: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

აღნიშნულის შემდგომ პალატამ მიუთითა:

---

[7] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 20 აპრილის განჩინება საქმეზე №3-ბ-908-15**

- სადავო ინფორმაცია (კომისიის სხდომების აუდიოჩანაწერები) არ მიეკუთვნებოდა ოფიციალურ დოკუმენტს, რადგან ის არ აკმაყოფილებდა ოფიციალური დოკუმენტისთვის დადგენილ რეკვიზიტებს[8] ანუ ისეთ რეკვიზიტებს, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა დოკუმენტის იდენტიფიცირებას დოკუმენტის ავტორ-დაწესებულებასთან (დოკუმენტის ავტორი-დაწესებულების დასახელება; დოკუმენტის ავტორი დაწესებულების კოდი; ტექსტის სათაური; დოკუმენტის სახეობის კოდი; დოკუმენტის თარიღი; ხელმოწერა და სხვა.);
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 03 აპრილის №17 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის დებულება" არ აწესებდა ოქმის ელექტრონული ფორმით შედგენის ვალდებულებას და დებულებაში ასახული იყო კომისიის სხდომის მხოლოდ ქაღალდზე დატანილი ოქმის სახით გაფორმების წესი.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით პალატამ დაასკვნა:

- **„თავისთავად ის გარემოება, რომ განხორციელდა სხდომების აუდიო ჩაწერა, აუდიოჩანაწერებს ვერ მიანიჭებს ოფიციალური დოკუმენტის სტატუსს, რამდენადაც აღნიშნული ჩანაწერები არ აკმაყოფილებს ოფიციალური დოკუმენტისათვის კანონით დაწესებულ არცერთ ზემოაღნიშნულ მოთხოვნას. შესაბამისად, მათი განადგურება ვერ დაკვალიფიცირდება საჯარო ინფორმაციის განადგურებად და ვერ შეფასდება ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედებად".**

შენიშვნა: უცნაური და ბუნდოვანია პალატის მიერ საჯარო ინფორმაციის მსგავსი ფორმალისტური განმარტება და მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებამდე დაყვანა; განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც ზემოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო ნორმა ოფიციალურ საჯარო დოკუმენტში აუდიოჩანაწერსაც მოიაზრებს. პალატის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით ბუნდოვანია, მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების ფონზე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მაშინ განმარტა, რომ **„სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით გაგზავნილი და მიღებული ინფორმაცია, მით უფრო თუ იგი ეხება გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეულ სახელმწიფო შესყიდვებს, წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისთვის".**[9] თუკი, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტით მიმოწერას საერთო სასამართლოები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნებისთვის, ოფიციალურ დოკუმენტებად მიიჩნევენ, მით უფრო ბუნდოვანია, რატომ არ შეიძლებოდა კომისიის სხდომათა აუდიო ჩანაწერები (მით უმეტეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არჩევნებია) მიჩნეულიყო საჯარო, ოფიციალურ დოკუმენტად.

1.4. უზენაესი / საკონსტიტუციო და საერთაშორისო / რეგიონალური სასამართლოების პრაქტიკის გამოყენება

სამართლებრივი საკითხი: უფლება ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე[10]

ფაქტები: ააიპ „ო. ც." (შემდგომში „მოსარჩელე") 2013 წლის აპრილი-ოქტომბრის პერიოდში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ახორციელებდა უკურნებელ პაციენტთა პალიატიურ მზრუნველობას[11]. მის მიერ

---

[8] **საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესის" მე-12 მუხლი**

[9] **საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nბს-286-284(კ-17).**

[10] **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 06 სექტემბრის განჩინება საქმეზე №3ბ/62-16**

[11] **პალიატიური მკურნალობა – სამედიცინო მომსახურება, რომლითაც რადიკალურად არ უმჯობესდება პაციენტის მდგომარეობა, არ იცვლება არაკეთილსაიმედო პროგნოზი და რომლის მიზანია პაციენტის მდგომარეობის დროებით შემსუბუქება.**

გაწეულმა სამედიცინო მომსახურების ხარჯმა, საერთო ჯამში, 336 501 ლარი შეადგინა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მოსარჩელეს დანახარჯის ნაწილი, 119 460 ლარი აუნაზღაურა. დანარჩენი ნაწილის ანაზღაურებაზე კი სააგენტო, მოსარჩელის დანახარჯების უკანონობაზე აპელირებით, უარს აცხადებდა. მათ შორის იყო დადგენილი 6-თვიანი ვადის დარღვევით გაწეული ხარჯი – 122 034 ლარი. მოსარჩელე აპელირებდა, რომ მიუხედავად ვადის დარღვევისა, მის მიერ გაწეული ხარჯი მართებული იყო რადგან:

- **„სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობის, 6 თვის გასვლის შედეგად პაციენტთა მდგომარეობა იმაზე მეტად მოითხოვდა პალიატიური მზრუნველობის განხორციელებას, ვიდრე პროგრამაში ჩართვისას“.**

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა ამ ნაწილში და სააგენტოს 6 თვის დარღვევით გაწეული ხარჯის ანაზღაურება დააკისრა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ (შემდგომში „პალატა“), სამი მოსამართლის, მათ შორის, კანდიდატ ნინო ქადაგიძის შემადგენლობით, გაიზიარა პირველი ინსტანციის და მოსარჩელის ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტები და გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. პალატამ საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით განმარტა რამდენიმე მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი.

პალატამ განმარტა:

- **„უფლება ჯანმრთელობაზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნული კანონმდებლობით“.**

პალატამ მოიშველია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი და აღნიშნა შემდეგი:

- **„პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლესი დონე. ამ უფლების სრული გამოყენებისათვის სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებები, ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებასა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში“.**

ზემოთ აღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, ასევე განჩინებაში წარმოდგენილი, კანდიდატის ხედვა ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებით:

- **„იმის გამო, რომ სახელმწიფოების შესაძლებლობები განსხვავებულია საკუთარი მოქალაქეებისადმი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხის და სხვა სტანდარტების უზრუნველსაყოფად, უფლება ჯანმრთელობაზე ითვლება უფლებად, რომელსაც „პროგრესული რეალიზაცია“ ახასიათებს, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში უნდა შეინარჩუნონ ამ უფლების რეალიზების მუდმივად განვითარებადი, პროგრესული ტენდენცია“.**

შენიშვნა: საყურადღებო და პროგრესულია, 2016 წელს, კანდიდატის მიერ **„ჯანმრთელობაზე უფლების“ „ფუნდამენტურ უფლებად“** განმარტება. მიუხედავად მიდგომების ცვლილებისა, კვლავ არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება **„ჯანმრთელობაზე უფლების“ „მეორე თაობის უფლებათა“** კატეგორიას მიკუთვნების შესახებ. მართალია, საქართველოს რატიფიცირებული აქვს საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც აღიარებს და იცავს „ჯანმრთელობაზე უფლებას“, თუმცა, საქართველოს კონსტიტუციაში ვერ ვხვდებით სახელმწიფოს ვალდებულებას – **„ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც ყველასათვის უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო მოვლას ავადმყოფობის შემთხვევაში“.**

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა. თუმცა ფიქსირდება 1 შემთხვევა:

  2016 წელს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ დისციპლინური საჩივრით[1] მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მიუთითეს:

  - 2016 წლის 23 მარტს ნინო ქადაგიძემ სააპელაციო სასამართლოში განიხილა უზრუნველყოფის შესახებ საჩივარი იმ საქმეზე, რომლის განხილვაშიც უკვე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული 2005 წლის 24 ნოემბერს უზენაეს სასამართლოში.[2]
  - ასევე მოსამართლემ სააპელაციო სასამართლოში ერთპიროვნულად განიხილა ის საქმე, რომელიც კოლეგიური შემადგენლობით უნდა განხილულიყო, ვინაიდან დავის საგანი აღემატებოდა 10 000 ლარს.[4]

  2016 და 2017 წლებში „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2-ჯერ მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დისციპლინურ საჩივართან დაკავშირებული წარმოების მიმდინარეობის გასარკვევად, თუმცა პასუხი არ მიუღიათ.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

---

1 **საჩივარი დიანა ფარქოსაძის, ტარიელ ტაბატაძისა და ნინო ქადაგიძის დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე იხ. http://bit.ly/2ZDrRtj**

2 **სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ, 22:49-23:38 წუთები, იხ. http://bit.ly/2Thb514**

3 **იქვე, 23:38-23:54 წუთები.**

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1994-1996 წლებში კანდიდატი ნინო ქადაგიძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების ექსპერტიზის სამმართველოს კონსულტანტი, ხოლო 1996-1998 წლებში მთავარი კონსულტანტი იყო. 1998-1999 წლებში იგი ამავე სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის სამმართველოს უფროსად მუშაობდა, 1999-2000 წლებში კი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი იყო.

- 2000 წელს ნინო ქადაგიძე დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ. 2002-2012 წლებში იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე იყო. 2013 წლის 17 ივნისიდან ნინო ქადაგიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლეა.

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- ნინო ქადაგიძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ნინო ქადაგიძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- ნინო ქადაგიძის მიმართ ადმინისტრაციული სახდელი გამოყენებული არ ყოფილა.
- სასამართლო დავებში ნინო ქადაგიძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ნინო ქადაგიძე რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი არ ყოფილა.
- ნინო ქადაგიძე იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატთა 10-კაციან სიაში.[1]

[1] **„იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატები დაასახელა“ იხ. http://bit.ly/2Kmwi6G**

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

ნინო ქადაგიძის პერსონალური ანგარიში რეგისტრირებულია სოციალურ ქსელ „Facebook”-ზე, თუმცა, იგი საჯაროდ არ აფიქსირებს მოსაზრებებს თავის გვერდზე.

კანდიდატის სხვა აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ მან სოციალურ ქსელ „Facebook"-ზე **მოიწონა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის სერგო მეთოფიშვილის პოსტი**, სადაც გაზიარებულია ვიდეო[1] და აღნიშნულია, რომ **„მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის საქართველომ ბიზნესის კეთების მაჩვენებლით მე-6 ადგილი დაიკავა. ამ პოზიციით საქართველო უსწრებს ნორვეგიას, აშშ-ს და დიდ ბრიტანეთს." აღნიშნულ ვიდეოს თან ერთვის სერგო მეთოფიშვილის კომენტარი, სადაც იგი აღნიშნავს: „ეს არის ყველაზე კარგი და დასაბუთებული პასუხი გიგაურის, ვერძეულის, სალაძის, ბენიძის და მათნაირი პოლიტიკოსების მიერ სასამართლოს მიმართებით შექმნილ და გავრცელებულ ფეიკ-ნიუსებზე, ფეიკ-კვლევებზე, ბინძურ ჭორებზე და თავხედურ თავდასხმებზე!"**

ნინო ქადაგიძემ ასევე მოიწონა სერგო მეთოფიშვილის პოსტი, რომელიც შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე არამოსამართლე წევრის საქმიანობას და მათ მონაწილეობას საერთო სასამართლოსთან დაკავშირებულ კანონპროექტის განხილვაში[2]: **„სხდომა მართლაც მშვიდ და ჯანსაღ გარემოში ჩატარდა. თუმცა, ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე ჯანეზაშვილმა საჯაროდ განაცხადა, რომ თითქოსდა საბჭოს მოსამართლე წევრებმა გადაწყვიტეს მორიგი შოუს მოწყობა. ანა დოლიძემ კი სხდომიდან სოციალური ქსელით აცნობა საზოგადოებას, რომ მხარს უჭერს მოსამართლეთა დანიშვნის შეჩერებას! [...] საზოგადოებამ კარგად დაინახა და კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მე სწორად ვაფასებ მათ თავხედ ადამიანებად! (მაგალითად, გახსოვთ ალბათ დოლიძის რამდენიმე დღის წინ გაკეთებული თავხედი განცხადება, რომ „უვადოდ დანიშნულ მოსამართლეთა შორის არის ხალხი, რომელიც ციხეში უნდა იჯდეს")**.

2. ნინო ქადაგიის საჯარო განცხადებები

კანდიდატი ნინო ქადაგიძე ერთ-ერთი იყო იმ 10-კაციან სიაში, რომელიც 2018 წლის 26 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა უზენაეს სასამართლოში ასარჩევად. შემდგომში მწვავე საზოგადოებრივი გამოხმაურების შემდგომ კანდიდატმა, სიაში მყოფ სხვა მოსამართლეებთან ერთად, საჯაროდ მიმართა პარლამენტს, არ განეხილათ მათი კანდიდატურები. კერძოდ, ათი მოსამართლის განცხადებაში მითითებულია: **„სამწუხაროდ, ამავე დროს ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა წარდგენილი კანდიდატების მიმართ არაეთიკურ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, რაც მოგვიანებით ხელოვნურად გადაიზარდა სასამართლო ხელისუფლებაზე უპრეცედენტო ზეწოლის კამპანიაში, სადაც უკვე პირდაპირ გაისმის მოწოდებები რეპრესიული გზით დაიშალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სასამართლო სისტემიდან განდევნილ იქნენ მიუღებელი, მათ შორის, ამ სიაში მყოფი მოსამართლეები. ყოველივე ეს კი პირდაპირ ზიანს აყენებს სასამართლო დამოუკიდებლობას და უხეშად ხელყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ცალსახად იმოქმედა თავისი მანდატის ფარგლებში და ზედმიწევნით იხელმძღვანელა ამჟამად არსებული კანონმდებლობით".**[3]

3. ნინო ქადაგიძის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას გაცემული პასუხები[4]

საბჭოს წევრის, ლევან გზირიშვილის შეკითხვა: **„რა ტესტი შეიმუშავა საკონსტიტუციო სასამართლომ დიფერენციალური მოპყრობის დისკრიმინაციულობის დასადასტურებლად?"**

---

1 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – https://drive.google.com/file/d/1

2 პოსტის სრული ვერსია ხელმისაწვდომია – https://drive.google.comɔfile/d/10

3 „10 მოსამართლე პარლამენტს მიმართავს, მათი კანდიდატურების განხილვა არ მოხდეს", https://reginfo.ge/people/item/1.

4 იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ნინო ქადაგიძის გასაუბრებას არ ესწრებოდა საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი.

ნინო ქადაგიძის პასუხი:

რაციონალური დიფერენცირების ტესტს და რთული შეფასების ტესტს იყენებს. რაციონალური დიფერენცირების ტესტს ძირითადად იყენებს , როდესაც დიფერენცირება ცალსახად აშკარაა და გარდაუვალია ამ შემთხვევაში, მაგრამ, როდესაც უფრო რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ უკვე რთული შეფასების ტესტი გამოიყენება".[5]

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თქვენი, როგორც კვალიფიციური იურისტის, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის შეხედულებით, რა წარმოადგენს სიძულვილის ენას?"

ნინო ქადაგიძის პასუხი:

ჩემთვის სიძულვილის ენა არის ის გამონათქვამი, რომელსაც არანაირი ღირებულება არ გააჩნია. თუ მას ღირებულება არ გააჩნია, ჩემთვის ეს არის სიძულვილის ენა, თუ მას რაიმე ღირებულება გააჩნია, თუ მას შეუძლია წარმოშვას დისკუსია, დებატები საზოგადოებაში, საზოგადოების მაღალი ინტერესის სფეროს მიეკუთვნება, ბუნებრივია ჩავთვლი, რომ ეს არის გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თქვენს პროფესიულ ბიოგრაფიასთან მიმართებით მაქვს რამდენიმე შეკითხვა. თქვენ დაიწყეთ მუშაობა იუსტიციის სამინისტროში და შემდეგ დაწინაურდით სამინისტროს ფარგლებში და წერია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მუშაობდით, უშუალო ხელმძღვანელი იყო ლადო ჭანტურია. როგორ მოხდა ეს?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

მე იუსტიციის სამინისტროში დავიწყე მუშაობა, როცა უნივერსიტეტი დავასრულე სულ რამდენიმე თვეში, 8 თუ 9 თვეში. მინისტრი გახლდათ თედო ნინიძე. მგონი მას წარდგენა საზოგადოებაში არ სჭირდება. ვინმეს თუ მოუსმენია მისი ლექცია, მთელი ცხოვრება მასზე იქნება უზომოდ შეყვარებული, რადგან ძალიან განათლებული, უზომოდ განათლებული ადამიანია და მე ვარ ღმერთის დიდი მადლეირი, რომ მასთან მომიწია მუშაობა. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ბატონი თედოს დამსახურებაა, რომ მე აქ ვზივარ. მას ჰქონდა ძალიან დიდი უნარი, ახალი დამწყები თანამშრომლისთვის გაეხსნა კარიერული გზა. მე ვფიქრობ, ეს ძალიან დიდი თვისებაა. მას შემდეგ უკვე იუსტიციის სამინისტროში ინიშნება ჯონი ხეცურიანი, მცირე პერიოდით, თუ არ ვცდები, ერთი წლით. უკვე შემდგომ ლადო ჭანტურია ხდება იუსტიციის მინისტრი. მე იუსტიციის სამინისტროში ამ სამ ადამიანთან მომიწია მუშაობა. თითოეული მათგანის უზომოდ მადლიერი ვარ".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „კონსულტანტის თანამდებობაზე როგორ მოხვდით? ეს იყო ხელშეკრულებით, თუ ეს იყო კონკურსით და როგორი სისტემა იყო?"

---

5 აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია დისკრიმინაციული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შესაფასებელი ორი ტესტი, ე.წ. მკაცრი შეფასების ტესტი და რაციონალური დიფერენცირების ტესტი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის 31/1/493 გადაწყვეტილებაში საქმეზე „ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ" აღნიშნულია, რომ „კლასიკური, სპეციფიკური ნიშნებით დიფერენციაციისას სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით (II, პარ.5). დანარჩენ შემთხვევაში კი მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით. „თუ დიფერენციაციის ინტენსივობა მაღალია, სასამართლო გამოიყენებს მკაცრ ტესტს, ხოლო ინტენსივობის დაბალი მაჩვენებლის შემთხვევაში – რაციონალური დიფერენციაციის ტესტს." (II, პარ.6).

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

სისტემა ცალსახად გაწერილი არ იყო, თუმცა, კონკურსის შედეგად მოვხვდი. გასაუბრება გავიარე იმ დეპარტამენტის უფროსთან, სადაც ვაკანსია იყო გამოცხადებული. დეპარტამენტის უფროსს ჰქონდა შესაძლებლობა, რეკომენდაცია მიეცა ამა თუ იმ თანამშრომლის გამწესებასთან დაკავშირებით. ყველაზე დაბალი თანამდებობა იყო კონსულტანტი მაგ დროს. საკანონმდებლო დონეზე პროცედურები გაწერილი არ იყო".

საბჭოს წევრმა ანა დოლიძემ ნინო ქადაგიძეს დამატებით ჰკითხა: „შემდეგ გახდით სამმართველოს უფროსი და შემდეგ საოლქო სასამართლოს, ანუ სააპელაციო სასამართლოს წინამორბედის მოსამართლე, რაც არის საკმაოდ სერიოზული ნახტომი. როგორ მოხვდით ამ თანამდებობაზე?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

მე არ ვთვლი, რომ ეს სერიოზული ნახტომი იყო, თუმცა, პასუხისმგებლობა ბევრად უფრო სხვაა. დეპარტამენტის უფროსი მაშინ საკმაოდ მაღალი კარიერული პოზიცია გახლდათ. მე ჩავაბარე გამოცდა, თუმცა, არ მქონდა სამოსამართლო ასაკი, ველოდი წლიწად-ნახევარი. გავიარე გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. იქ სამივე მინისტრი იჯდა. ძნელი არ იყო, შესაბამისად, ჩემი თავის წარმოდგენა. გულახდილად გითხრათ, ჩემი სურვილი იყო სამოქალაქო კატეგორიით მემუშავა, მაგრამ აღმოვჩნდი ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რისთვისაც ღმერთის მადლიერი ვარ, რადგან ახლანდელი გადმოსახედიდან ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესო აღმოჩნდა ადმინისტრაციული კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ რომის სამართლიდან ითვლის სამოქალაქო სამართალი ფესვებს."

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თქვენ პირდაპირ მოხვდით სააპელაციო სასამართლოში. არ დაისვა შეკითხვა იმის შესახებ, რატომ მოინდომეთ პირდაპირ სააპელაციო სასამართლოში მუშაობა?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

განსხვავება დღევანდელსა და მაშინდელ სიტუაციას შორის, იცით რაშია? მაშინ იყო უამრავი ვაკანტური ადგილი. ოლქი საჭიროებდა შევსებას. კადრების დეფიციტი იყო. სულ რამდენიმე გამოცდა იყო ჩაბარებული. მოსამართლეების ნაკადი, რომელიც სრულად დააკომპლექტებდა სასამართლოს, არ იყო. არ იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის იურისტები, ვისაც გამოცდა ჩაბარებული ჰქონდათ. მე რომ დავინიშნე, ძალიან ბევრი თავისუფალი ადგილი იყო".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თქვენ ბრძანეთ, რომ გსურდათ სამოქალაქო სამართალში საქმიანობა და აღმოჩნდით ადმინისტრაციულში. არ იყო სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ვაკანსიები? რატომ არ დაელოდეთ ვაკანსიას, ან მერე რატომ არ დაბრუნდით?"

ნინო ქადაგიძის პასუხი:

რაღაცნაირად, ქვეცნობიერულად ვგრძნობდი, რომ ამ პერიოდში რაც გავიარე იუსტიციის სამინისტროში, ეს კანონმდებლობა უფრო ახლოს იყო ჩემთან. პროფესიული თვალსაზრისით ვფიქრობდი, რომ სამოქალაქო სამართალში უფრო საინტერესო იქნებოდა მუშაობა".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თქვენ ის პირი ბრძანდებით, რომელსაც სასამართლო სისტემის მიღმა აქვს საჯარო მოხელეობის გამოცდილება და შემდეგ მოხვდით სასამართლოში. შეადარეთ, რომ დარჩენილიყავით სამინისტროში, რა ძირითადი სხვაობაა საჯარო სამართლის იურისტობასა და მოსამართლეობას შორის?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

საჯარო სამსახურში კანონისმიერი ბოჭვაა. რა თქმა უნდა, მოსამართლის შემთხვევაშიც, თუმცა, აქ მეტი თავისუფლებაა. შედარება არ შეიძლება ამ თავისუფლების. გარდა ამისა, შენ შეგიძლია, უფრო მეტად განავითარო შენი ხედვები. იქ, ფაქტობრივად, საჯარო სამსახურში იერარქიული დამოკიდებულებაა. იმ პოლიტიკის გამტარებელი ხარ, რა პოლიტიკაც უნდა გატარდეს სამინისტროს მხრიდან. სასამართლოში საოცრად დიდი შესაძლებლობაა ადამიანმა საკუთარი ხედვები გამოავლინო და ასახო იმ დოკუმენტში, რომელიც შენ მიერ არის მიღებული. [...] იქ გუნდისთვის თამაშობ, აქ ინდივიდუალური მოსამართლე მოქმედებ“.

საბჭოს წევრმა ანა დოლიძემ ნინო ქადაგიძეს დამატებით ჰკითხა: „თქვენ ორჯერ ახსენეთ გასაუბრების განმავლობაში „ღმერთის მადლობელი ვარ“; კითხვა მაქვს ასეთი, მორწმუნე ბრძანდებით, თუ, უბრალოდ, გამოთქმის საშუალებად იყენებთ? თქვენი სამოსამართლეო საქმიანობის დროს როდის რა ეტაპზე აკონტროლებთ ამ ფასეულობათა სისტემას, რომელიც მოაქვს მართლმადიდებლობას და როგორ, რა სისტემით აკეთებთ ამას?“

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

ვთვლი, რომ მორწმუნე ვარ. შესაძლოა ის უნარ-ჩვევები არ მქონდეს, რაც საჭიროა, თუმცა, მორწმუნე ვარ. ალბათ ის ხედვები, რაც გამაჩნია, იმ რელიგიური შეხედულებებითაა განპირობებული, რასაც ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა ჰქვია და რომლის ძირი არის მიმტევებლობა. სიღრმეებში მე არ წავსულვარ, მაგრამ გარკვეული პერიოდი სხვა რელიგიის ხედვებიც მაინტერესებდა. ვერ გეტყვით, რომ ყურანი წაკითხული მაქვს, მაგრამ ვიცი რა ხედვებს ეფუძნება. ბუდიზმი არა მხოლოდ რელიგიაა, არამედ ფილოსოფიაა. იმ რელიგიებშიც იმდენად სწორი ხედვებია, შეუძლებელია ჭეშმარიტი მართლმადიდებელი იყო და ვერ ხედავდე ფასეულობებს, რასაც სხვა რელიგიის ადამიანები ატარებენ. მე პატივს ვცემ ნებისმიერ რელიგიას და თუნდაც იმ ადამიანებს, რომლებსაც რწმენა არ აქვთ“.

საბჭოს წევრის, ირმა გელაშვილის შეკითხვა: „თქვენ ბრძანეთ, რომ ხართ მორწმუნე, მართლმადიდებელი ქრისტიანი. თქვენ რომ დაგეწეროთ თქვენი მოძღვრის, ან სულიერი დის საქმე, როგორ ფიქრობთ, აცილების საფუძველი იქნება ეს?“

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

მე ავიცილებ და საფუძველი იქნება თუ არა, არ ვიცი. რომ გითხრათ, მოძღვართან სიღრმეებში ვარ შესული ან სულიერი დები მყავს-მეთქი, ალბათ, მოგატყუებთ. ასეთ ძლიერ რწმენაში არ ვარ, თუმცა, მოძღვარი ნამდვილად მყავს, ამას ვაღიარებ და ვადასტურებ, რომ მის საქმეს არ განვიხილავდი“. ამ ნაწილში შეკითხვას, რამდენად გაითვალისწინებდა მოძღვრის თხოვნას, რომ, მაგალითად, დაეჩქარებინა ერთ-ერთი საქმის განხილვა, მოსამართლე ნინო ქადაგიძემ უპასუხა: „პასუხი მარტივია. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ითხოვს, რომ დავუჩქარო, ვცდილობ წინ წამოვწიო, რამდენად საჯაროდ უნდა ვამბობდე და კარგია თუ ცუდი, არ ვიცი, მაგრამ ვაკეთებ“.

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „თუ შეიძლება აღწერეთ თქვენი დაწინაურება საოლქო სასამართლოდან უზენაეს სასამართლოში“.

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

გარკვეული კრიტერიუმები იყო იმ დროს განსაზღვრული, უფრო სწორედ, პროცედურა. შემოთავაზება იყო ბატონი ლადო ჭანტურიასგან. დამიკავშირდნენ. ის მესაუბრა, თუ რა ხედვა და მოლო-

დინები ჰქონდა ჩემთან მიმართებაში. მე ვესაუბრე, როგორი იყო ჩემი ხედვა. იმაზეც ვისაუბრეთ, რომ ისეთი დიდი გამოცდილება, რაც საჭიროა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის, არ მქონდა. ორი წელი არ მგონია, საკმარისი იყოს. დღეს ვთვლი, რომ უფრო მზად ვარ ამ თანამდებობის დასაკავებლად. თუმცა, მიმაჩნია, თუ ვერ გავხდები უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, არ იქნება ტრაგედია. ეს ეტაპი გავიარე და ვფიქრობ, რომ ღირსეულად გავიარე. მეორე ეტაპს გავივლი თუ არა, შესაძლო დიდი პრობლემა არ იყოს. მე როგორც საზოგადოებას, ისე თქვენც გთავაზობთ ჩემს გამოდილებას. თუმცა, იმ პერიოდში, მე და ადმინისტრაციული კანონმდებლობაც ფაქტობრივად ერთად დავიბადეთ და, შესაბამისად, ამ დარგში მეც იგივე გამოცდილება მქონდა, რაც სხვა მოსამართლეებს".

ამ ნაწილში საუბრისას ნინო ქადაგიძემ დამატებით აღნიშნა:

პირების მოსამართლედ დანიშვნას იმ პერიოდში პრეზიდენტი ახორციელებდა. პრეზიდენტი იმ დროს ედუარდ შევარდნაძე იყო. მე, მართალია, საოლქო სასამართლოში დავინიშნე პრეზიდენტის მიერ".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „გიწევდათ მიხეილ ჩინჩალაძესთან მუშაობა?"

ნინო ქადაგიძის პასუხი:

იგი იყო პალატის თავმჯდომარე და, შესაბამისად, ინტენსიურად მიწევდა მასთან თანამშრომლობა".

საბჭოს წევრმა ანა დოლიძემ ნინო ქადაგიძეს ასევე ჰკითხა: „კოტე კუბლაშვილი რა ტიპის თავმჯდომარე იყო? რა სტილის საქმიანი ურთიერთობა გქონდათ მასთან?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

იგი უზომოდ გონიერი და განათლებული ადამიანია. თუმცა, ჩვენ არ გვქონია ბატონ კოტესთან არცერთი შეხვედრა, რომელიც ეხებოდა კონკრეტულ საქმეს. მისი სტილი იყო შეხვედრები, რომლებიც მოსამართლეთა განვითარებას ეხებოდა. ხშირად გვქონდა შეხვედრა, თუ ეს ეხებოდა საკითხს, როგორი უნდა ყოფილიყო სკოლაში სწავლება და ა.შ. მისი მოსაზრება იყო, რომ მოსამართლეებს პრაქტიკა უნდა ჰქონოდათ ერთი. თუმცა, თუ არ ჩავთვლით დიდი პალატის რამდენიმე სხდომას, კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით შეხვედრა არ გვქონია".

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა: „2013 წელს, როცა გაგივიდათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის ვადა და სააპელაციო სასამართლოში დაინიშნეთ, ამ ეტაპზე თუ შეიძლება, რომ მოყვეთ, როგორ მოხდა ეს; რა შემადგენლობა იყო საბჭოში და ა.შ.?"

მოსამართლე ნინო ქადაგიძის პასუხი:

მე 2012 წლის დეკემბრიდან წავედი სასამართლო სისტემიდან. გულახდილად რომ გითხრათ, ვფიქრობდი, რომ გარვეული ეტაპი სასამართლოში გავიარე და შესაძლებელი იყო დამესვენა. თუმცა, მივხვდი, რომ ძალიან დიდი ლტოლვა მქონდა, ისევ დავრბუნებულიყავი ამ სისტემაში. ეს პროფესია უზარმაზარ შრომას მოითხოვს, მაგრამ გიყვარს და გინდა, ისევ ამ პროფესიით იმუშავო. სამი-ოთხი თვე მსიამოვნებდა დასვენება, თუმცა, შემდეგ მივხვდი, რომ კვლავ მინდოდა სასამართლო სისტემის ნაწილი ვყოფილიყავი. იმ დროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო კოტე კუბლაშვილი. მე გავიარე გასაუბრება და ხელმეორედ დავბრუნდი სასამართლო სისტემაში".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2009
ბინა თბილისში
98 700 ₾
(109 კვ.მ)

2008
მიწის ნაკვეთი
მცხეთაში
1 296 ₾
(900 კვ.მ)

2015
ავტომანქანა
TOYOTA RAV4
43 680 ₾

2. ფინანსები

2002-2018 წლებში მოსამართლე ნინო ქადაგიძემ სამოსამართლო საქმიანობიდან 911,000 ლარი მიიღო. უზენაეს სასამართლოში იგი 2002-2012 წლებში მუშაობდა და მიღებულმა ანაზღაურებამ 475,105 ლარი შეადგინა, ხოლო 2013 წლიდან სააპელაციო სასამართლოში გადავიდა და 2018 წლის ჩათვლით, ჯამში 435,985ლარი გამოიმუშავა. მის კარიერაში ყველაზე მაღალი ხელფასი 2018 წლით თარიღდება, მიღებული თანხა 84,675 ლარი იყო.



მოსამართლის მეუღლე, ირაკლი ანთაძე 2011-2016 წლებში საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, ლოჯისტიკის სპეციალისტად მუშაობდა, სადაც მან ჯამში 109,464 ლარი გამოიმუშავა.

მოსამართლე ნინო ქადაგიძეს და მის მეუღლეს 2019 წლის დეკლარაციის მიხედვით მიმდინარე საბანკო ვალდებულება არ უფიქსირდებათ.

მოსამართლე ნინო ქადაგიძე 2013 წელს იყო „სს რუსთავ გაზის“ იურისტი, საიდანაც ანაზღაურების სახით 4000 ლარი მიიღო. იგი საქართველოს უზენაესს სასამართლოში მოსამართლედ 2012 წლის ბოლომდე მუშაობდა, ხოლო სააპელაციო სასამართლოში 2013 წლის ივნისიდან შეუდგა საქმიანობას. კონკრეტული თარიღი დასახელებული არ არის, თუმცა სავარაუდოა, რომ მან „სს რუსთავ გაზს“ მომსახურება იმ მოკლე პერიოდში გაუწია, რა დროსაც მოსამართლის ფუნქციას არ ასრულებდა.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჭონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ